

შპს საქართველოს ტელერადიო ცენტრი
აუდიტორული დასკვნა 2016 წლის
ფინანსურ ანგარიშგებაზე

2017 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“-ს მენეჯმენტს:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო უწყისს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა საზოგადოების შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

მასშტაბის შეზღუდვა -კვალიფიკაცია

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

შპს „თიჯიეს კვ ჯგუფის“ სახელით

დირექტორი კონსტანტინე კიკნაძე

აუდიტი სალომე კიკნაძე



28 აპრილი 2017

თბილისი, საქართველო